№ 247 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. კვირა, ოქტომბრის 31 1920 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—92.

სახელმწ. თეატრი.

31 ოქტომბერს

ფაისი

1 ნოემბერს

ვერტერი

სამშაბათს, 2 ნოემბერს

ბალეტის საღამო მიხეილ მორდკინისა

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

წარმოდგენის დროს შესვლა დარბაზში აკრძალულია.

942 1—1 ოპერის დირექტორი ხ. ი. ევლახი ილი.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

დღეს, ოქტომბრის 31-ს

ოიდიპოს მეფე სოფოკლესი.

დასაწყისი სღ. 8½ საათზე.

სამშაბათს, ნოემბრის 2-ს

I. „დარისპანის გასაჭირი“ II „ირინეს ბედნიერება“

დ. კლდიაშვილისა.

მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აკრძალულია

ბილეთები იყიდება დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდის.

936 1—1

## ოფიციალური განყოფილება.

### განკარგულებანი

**მთავრობის საქმეთა მმართველისა**

27 ოქტომბერი, 1920 წ., № 31.

რევაზ რაჟდენის ძე გაჩეჩილაძე დაინიშნოს მთავრობის საქმეთა სამმართველოს საქმის მწარმოებლად ამა წლის 25 ოქტომბრიდან.

მთავრობის საქმეთა მმართველი

**ქ. ჯაფარიძე.**

—

**სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგისა.**

25 ოქტომბერი, 1920 წ., № 447.

სახელმწიფო კონტროლის მოანგარიშე მოხელემ ივანე ივანეს ძე ყიფიანმა ჩაიდინა მოხელისათვის ყოვლად დაუშვებელი საქციელი სახელდობრ: კონტროლის კანცელარიიდან გაიტანა ცნობა სარჯველაძის ბათუმში გადაყვანის შესახებ უცხო პირის ვინმე ქიქინაძისთვის გადასაცემად, რითაც ხელი შეუწყო ბოროტ-მოქმედებას ვინაიდან ქიქინაძემ ისარგებლა და სარჯველაძის დალაქული ოთახი მის მიერ გატეხილი დაიკავა. როდესაც ქიქინაძე კარებს ამტვრევდა და იკავებდა სარჯველაძის ბინას ყიფიანი იქ დაესწრო და არა თუ გამოეხმაურა თავის თანამოსამსახურის ინტერესებს პირიქით ხელს უწყობდა ქიქინაძეს, დაეკავებინა სარჯველაძის ბინა.

ვითვალისწინებ რა ყოველივე ზემოაღნიშნულს მოანგარიშე მოხელეს ივანე ყიფიანს სრულიად ვითხოვ სამსახურიდან ამ წლის 23 ოქტომბრიდან.

18 ოქტომბერი, 1920 წ. № 439.

მიხედვით იმ განსაკუთრებულ პოლიტიკურ პირობების, რომელშიაც იმყოფება ბათომის ოლქი, სადაც მთავრობის წარმომადგენლის განკარგულებანი უნდა იქმნას ყოველ მაზეზს გარეშე ასრულებული, რათა დარღვევა ზიანს მოუტანს საქართველოს მთლიანობას და ყოველი თვითნებობა მოხელისა, რომელ უწყებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, უნდა იქნეს სასტიკ პასუხისგებაში მიცემული. მოქმედება რევიზორ ვ. ბაქრაძისა სწორედ ამ მხრივ არის მიზანშეუწონელი ქართველი მოხელისათვის, რომელიც სადარაჯოზე უნდა ედგას სახელმწიფო ინტერესებს.

მეორე მხრივ არა ერთხელ ყოფილა შემთხვევა, რომ რევიზორი ვ. ბაქრაძე ცენტრალურ კონტროლშიაც სამსახურის დროს ჩარეულა უწყების მოქმედების საქმეში და რის გამო ხშირად მიუღია შენიშვნა სახელმწიფო კონტროლიორისაგან.

ვითვალისწინებ რა ყოველივე ამას, ვიზიარებ საერთო საკრებულოს დადგენილებას ამა წლის 15 ოქტომბრის თარიღით სრულიად ვითხოვ ვ. ბაქრაძეს სამსახურიდან.

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი

**კ. ანდრონიკაშვილი.**

—

**ტფ. სამომრიგებლო ოლქის მოსამართლის თავმჯდომარისა.**

1 ივლისი, 1920 წ., № 64.

ვიკენტი ანტონის ძე გამოისკი ქ. ტფილისის სამომრიგებლო ოლქის 2 უბნის ბოქაული განთავისუფლებულ იქმნეს ყრილობის კანცელარიაში მის სამსახურის მოვალეობის ზედმეტ მუშაობისაგან 1920 წ. 1 ივლისიდან.

№ 65.

ქ. ტფილისის სამომრიგებლო ოლქის მოსამართლეთა კუებულის კანცელარიის მოხელე თამარ გიორგის ასული გომელიურისა დათხოვნილ იქნას სამსახურიდან 1920 წ. 1-ლ ივლისიდან.

№ 66.

ბაქრაძე ელენე სპირიდონის ასული დაინიშნოს ქ. ტფილისის სამომრიგებლო ოლქის მოსამართლეთა კრებულის კანცელარიის მოხელეთ 1920 წ. 1-ლ ივლისიდან.

1 აგვისტო, 1920 წ., № 67.

კვინიხიძე ნინო ვასილის ასული, ქ. ტფილისის სამომრიგებლო ოლქის მოსამართლეთა კრებულის კანცელარიის მანქანით გადამწერი, დათხოვნილ იქმნეს სამსახურიდან 1920 წ. 1-ლ აგვისტოდან.

№ 68.

გიორგობიანი მიხეილიძე ელენე ივანეს ასული დაინიშნოს ქ. ტფილისის სამომრიგებლო ოლქის მოსამართლელა კრებულის კანცელარიის მანქანით გადამწერათ 1920 წ. 1 აგვისტოდან.

№ 69.

დრაგომიროვი ვლადიმერ იაკობის ძე ქალ. ტფილისის სამომრიგებლო ოლქის სასამართლო ბოქაული დითხოვნილ იქმნეს სამსახურიდან 1920 წ. 15 აგვისტოდან.

15 აგვისტო, 1920 წ., № 70.

ნაცვლიშვილი ვიქტორ მიხეილის ძე დაინიშნოს ქ. ტფილისის სამომრიგებლო ოლქში სასამართლოს ბოქაულათ 1920 წლ. აგვისტოს 15-დან.

5 ოქტომბერი, 1920 წ., № 71.

ნინო ნიკოლოზის ასული მაჭუტაძე, რწმუნებული ჩემდამი სამომრიგებლო ოლქის მოსამართლეთა საკრებულოს კანცელარიის მდივნის თანაშემწე, დაინიშნოს ამავე კანცელარიის მდივნის თანამდებობის ასრულებლათ ამა წლის 6 ოქტომბრიდან.

№ 72.

ბარბალე ივანეს ასული კვინიტაძე, ქალ. ტფილისის სამომრიგებლო ოლქის მოსამართლეთა საკრებულოს კანცელარიის შტატ-გარეშე კანცელარიის მოხელე, ჩარიცხულ იქმნეს ამავე კანცელარიის შტატში ისევ კანცელარიის მოხელეთ.

6 აგვისტო, 1920 წ., № 73.

ერისთავი რევაზ იასონის ძე, ქ. ტფილისის სამომრიგებლო ოლქის მოსამართლეთა საკრებულოს კანცელარიის მდივნის თანაშემწე, დათხოვნილ იქმნეს თანამდებობიდან და სამსახურის მოვალეობიდან განთავისუფლებული 1920 წლის 1 ოქტომბრიდან.

№ 74.

იულია ნიკოლოზის ასული დადიანი, ქალ. ტფილისის სამომრიგებლო ოლქის მოსამართლეთა საკრებულოს კანცელარიის მოხელე, დაინიშნოს ამავე კანცელარიის მდივნის თანაშემწის თანამდებობის ასრულებლათ 1920 წ. ოქტომბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **ტყემალაძე.**

—

**საქციზო სამმართველოს უფროსისა.**

№ 49.

**დაინიშნა:** ლარისა ლუიჯის ასული გაბაშვილისა ბათომის თამბაქოს ქარხნის კონტროლიორათ 1920 წ. ენკენისთვის 11 დან.

№ 57.

**ბრძანებაში** 4 მარიამობისთვიდან 1920 წ. № 34. აღნიშნული იოსებ ტარიელის ძე ძიძიშვილი ითვლებოდეს მიღებულად სპირტის ნაწარმოების ქარხნის კონტროლიორად ბათომში 13 ივლისიდან 1920 წ., რომელი რიცხვიდანაც მან ფაქტიურად დაიწყო სამსახური და არა 24 ივლისიდან, როგორც შეცდომით არის ნაჩვენები.

განსხვავება ჯამაგირისა 13 ივლისიდან 24 ივლისამდე მიეცეს.

№ 61.

**დაინიშნა:** საქციზო სამმართველოს ბუხჰალტერის თანაშემწე ლევან ვასილის ძე ბასიშვილი თამბაქოს ქარხნის კონტროლიორად 1 ღვინობისთვიდან 1920 წ.

№ 62.

**დაინიშნენ** საქციზო სამმართველოს ბუხჰალტერის თანაშემწეებად: 1) დროებით თამბაქოს ქარხნის კონტროლიორის თანამდებობის ასრულებელი გალაქტიონ გიორგის ძე ლოლობერიძე და 2) საქმის მწარმოებლის თანაშემწის დროებით თანამდებობის ასრულებელი ზაქარია ნიკოლოზის ძე პოპიაშვილი. ორივე 1 ღვინობისთვიდან 1920 წ.

№ 63.

**დათხოვნილია** სამსახურიდან, თანახმად თხოვნისა, ქ. ფოთის აქციზის ინსპექტორის კანცელარიის შიკრიკი ვარლამ ქავჯარაძე 1920 წ. 16 ენკენისთვიდან.

№ 64.

**განთავისუფლებულია** სამსახურიდან 1 ოქტომბრიდან 1920 წ. დროებით მიღებული დამხედველად ბათომში სულეიმან შაქარაშვილი, როგორც დაკისრებული თანამდებობისათვის შეუფერებელი.

№ 65.

**დათხოვნილია** სამსახურიდან თანახმად თხოვნისა, სიღნაღის მაზრის თამბაქოს ქარხნის კონტროლიორი ლევან ყაფლანის ძე ვაჩნაძე 1920 წ. ღვინობისთვის 20 დან.

№ 66.

**დანიშნულია** სიღნაღის თამბაქოს ქარხნის კონტროლიორად 1920 წ. ღვინობისთვის 20-დან ნავთის ნაწილის მოანგარიშე გიორგი არჯევანის ძე ანანიაშვილი.

№ 67.

**დათხოვნილია** სამსახურიდან 16 ღვინობისთვიდან 1920 წ. საქციზო სამმართველოს რეგისტრატორი თამარა ირაკლის ასული მიქაძე.

№ 68.

**დაინიშნენ** საქციზო სამმართველოს დროებით რეგისტრატორის თანამდებობის ასრულებლად 17 ღვინობისთვიდან 1920 წ. 1) ვალენტინა პლატონის ასული ჯაფარიძე და 2) დროებით თამბაქოს ქარხნის კონტროლიორის თანამდებობის ასრულებელი კონსტანტინე გიორგის ძე ვეზირიშვილი.

№ 69.

**დაინიშნა** დროებით თამბაქოს ქარხნის კონტროლიორის დროებით თანამდებობის ასრულებლად 16 ღვინობისთვიდან 1920 წ. კონსტანტინე ტიმოთეს ძე ვასილევი.

№ 70.

**დაინიშნა** ტფილისში მივლინებული ფოთის აქც. ინსპექტ. უმცროსი თანაშემწე გრიგოლ სამსონის ძე უშვერიძე ნავთის ნაწარმოების მოანგარიშეთ პირველ ნოემბრიდან 1920 წ.

საქციზო სამმართველოს უფროსი

**ხა. ბაქრაძე.**

## არა ოფიციალური განყოფილება.

# ნოე ჟორდანიას სიტყვა

**(წარმოთქმული სახალხო გვარდიის 2 ყრილობაზე)**

(გაგრძელება).

ჩვენთვის საჭირო არის, რომ ჩვენი ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა იქმნას გამაგრებული. საჭირო არის, რომ ჩვენმა ხალხმა უპირველეს ყოვლისა გამოიღოს გადასახადი. ეს არ კმარა. ჩვენ დღეს ისეთი ფინანსიური მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ ან უნდა ვიშოვოთ სესხი, ან უნდა ისევ განვაგრძოთ ფულის ბეჭდვა, მაგრამ ფულის ბეჭდვის განგრძობა ნიშნავს ფულის კურსის დაცემას და ჩვენი ფინანსიური მდგომარეობის არევას. სესხს არ გვაძლევენ უცხოეთში, ისე რომ ჩვენ ეს სესხი უნდა ვიშოვოთ შიგნით და ეს გვაქვს სწორედ განზრახული. ჩვენში არის გამოცემული ცხრა მილიარდი ბონები, რომელიც ტრიალებს ხალხში. მას არ აქვს ერთი მეასედი და მეათასედი იმის ფასი, რაც მას უნდა ჰქონდეს. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ბონები ამოვიღოთ ხალხის ჯიბიდან და ისევ დავაბრუნოთ ხაზინაში, აქედან ხელახლად გაუშვათ. სამაგიეროთ ვინც მოგვცემს სესხს, მივცემთ პროცენტებს. ჩვენთვის თავისთავად ცხადია ადვილია გადახდა პროცენტებისა და შემდეგ, როცა ჩვენ ფინანსიურად მოვღონიერდებით, სახელმწიფო გამაგრდება, რასაკვირველია ამ ფულს თანდათან დაუბრუნებთ ისევ პატრონს. ამნაირად ჩვენ გვინდა შინაური სესხი მოვაწყოთ საქართველოს ტერიტორიაზე. უამისოთ არ არის ჩვენი ფინანსების ხსნა. მესამე კითხვა არის ის, რომ ჩვენში დღეს საკმაოდ მოიპოვება პური, სიმინდი, მაგრამ თქვენ იცით, რომ ჩვენ მუშებს, ჩვენს მოსამსახურეებს ეს პური და სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდის ფქვილი აკლიათ და ვერ მიგვიწვდია ხელსაყრელ ფასებში. მიზეზი ის არის, რომ პურის მომყვანნი მას არ ყიდიან. ხოლო ვინაიდან უცხოეთიდან მისი მიღება შეუძლებელი არის, და რომ იყოს შესაძლებელი ამას უნდა აუარებელი ფულები, ვინაიდან ჩვენი ბონების კურსი დაცემულია, აუცილებელია ჩვენთვის, რომ ხალხმა სახელმწიფოს მისცეს შესაფერ ფასებით საჭირო ხორბლეულობა. აი, ახლა, მაგალითად, მთელს იმერეთში უკვე არის დაწყებული სიმინდის ტეხა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თემების, ერობების საშუალებით ამ ხალხს გამოვართმევთ ათი პროცენტი მათი სიმინდის მოსავლისა ჩვენგან დაწესებულ ფასებში, ხოლო დანარჩენი 90 პროცენტი გაყიდოს ისე, როგორც მას უნდა. მაშასადამე სიმინდის კომპანია იქნება დაწყებული, და თუ ეს კომპანია ვერ დავასრულეთ როგორც გვსურს, ჩვენ დავრჩებით უპუროთ და უფქვილოთ. რას ნიშნავს ეს, თქვენც იცით, მაშასადამე ხალხი რომ იყოს იმდენად შეგნებული, რომ სთქვას, რომ მისი და სახელმწიფოს ინტერესები ერთნაირი არის, ამ კითხვაზე ლაპარაკი აქ საჭირო არ იქნებოდა და ეს თავის თავად მოგვარდებოდა, მაგრამ დღეს ეს სამწუხაროდ ასე არ არის, პირიქით გლეხი ხელს უშლის, ერთგვარი წინააღმდეგი არის ქალაქისა, ის ანგრევს ბოლშევიკურ წყობილებას რუსეთში იმით, რომ იქ გლეხი არ სცნობს ქალაქს. აქ, ჩვენში, რასაკვირველია, ეს ასე არ არის. აქ რამდენი ხანია ვცხოვრობთ შინაურ პურით გლეხებზე ძალა დაუტანებლად. მაგრამ თუ განვითარდა ის აზრი, რომ სოფელი ქალაქის მოწინააღმდეგე უნდა იყოსო, ჩავარდებით ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც არის დღეს რუსეთი, ესე იგი იძულებული ვიქნებით ან სიმშილით მოვკვდეთ ან ეგზეკუციას მივმართოთ, მაგრამ თუ იქნება სათანადო იდეური ზომები მიღებული, თუ ამხანაგები დატრიალდებიან ხალხში და გააცნობენ მას, რომ სახელმწიფოს და მისი ინტერესები ერთნაირი არის, არავითარი განსაკუთრებული ზომები არ დაგვჭირდება, რომ ხალხმა საჭირო სანოვაგე მოგვცეს. გარდა ამისა გვჭირია ერთი რამ, ის რომ ჩვენი შრომის ნაყოფიერება, იყოს ასე თუ ისე გადიდებული. ჩვენ შემოვიღეთ რვა საათის სამუშაო დღე. მაგრამ ჩვენ გვინდოდა, რომ ეს რვა საათი იმუშაოს იმ კაცმა, რომელსაც ეს აქვს დავალებული. სამწუხაროდ ეს ასე არ არის. არის რვა საათის სამუშაო დღე, მაგრამ მუშა მეტ შემთხვევაში არა რვა საათს, არამედ ხუთ საათს მუშაობს და ეს უეჭველია დამოკიდებულია თვით მუშებზე. მოწინავე მუშები ამ საქმეში უნდა ჩაებან, უნდა იფიქრონ, რომ ის რასაც ის აკეთებს, არის საქმე სახელმწიფოსი და ამავე დროს თავისი. და როდესაც ეს ერთი და იგივეობა ორივე ინტერესებისა შეგნებული იქნება, თავის თავად ცხადია, არ იქნება ის, რაც არის დღეს ხალხში. ერთმა გამოძიებამ დაამტკიცა, რომ იყო მთელი ჯგუფი მუშებისა, რომელსაც წლის განმავლობაში ყოველ დღე ორი სამი საათი არ უმუშავნიათ. ეს არევს სახელმწიფოს ისე, როგორც სხვა სენი, რომელზედაც მე მიგითითეთ. და ეს სენი ძირიანად უნდა იქნეს მოგდებული. მაშასადამე, თუ ჩვენი შინაური პოლიტიკური მდგომარეობა არის მაგარი, თუ ჩვენ დემოკრატიას აქვს უკვე პოლიტიკური ერთობა, სამაგიეროდ [illegible] სიმაგრე ეკონომიური და ფინანსიური არა გვაქვს. ასეთი სიმაგრის შექმნა კი დამოკიდებული არის ჩვენ ხალხზე. და მე ვფიქრობ, რომ გვარდია ამ საქმეში შეასრულებს დიდ როლს. გვარდია, რომელსაც მთელ რესპუბლიკაში აქვს მოწყობილი დიდი ორგანიზაციები, მისი მოვალეობა უნდა იყოს არა მარტო თოფი და იარაღი, არამედ უნდა იყოს ის, რომ იდეური გავლენა მოახდინოს ხალხზე და ეს აზრები და იდეები შეაგნებინოს.

ახლა მე გადავალ საგარეო მდგომარეობაზე. ჩვენი საგარეო მდგომარეობა რასაკვირველია, ჩვენ ხელში არ არის, თუ ჩვენი ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა დამოკიდებულია ჩვენზე და [illegible] ჩვენი შრომით და [illegible], [illegible] საგარეო მდგომარეობა დამოკიდებულია საერთო მოვლენებზე [illegible] ერთ კავშირზე [illegible] მხოლოდ [illegible] განწყობილება [illegible] და ამ საერთო მდგომარეობაში ჩვენ ჩვენი [illegible] ასე, თუ სხვა ჩვენი საგარეო პოლიტიკის [illegible], რომ ამ საერთო [illegible] დროში ნათელი წარმოდგენა [illegible] [illegible]

ლი არ არის, არ დავკარგოთ ჩვენი შესაფერი პოზიცია. აი ამიტომ მე მინდა გაგაცნოთ ის დახლართული ურთიერთობა, რომელიც დღეს არსებობს და ასეთ ურთიერთობაშია ჩვენი სახელმწიფოს პოზიცია. თქვენ იცით, რომ დღეს, ერთი მეორეს უპირდაპირდება ორი ქვეყანა. ერთი ევროპა და მეორე ბოლშევიკური რუსეთი და რამოდენიმე ზოგი აზიური ხალხები და სახელმწიფოები. აქ ბოლშევიკური რუსეთი გამოდის როგორც მეთაური აზიის აჯანყებისა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპისა, რას ნიშნავს ეს? უნდა ვსთქვა, რომ ბოლშევიზმი უპირველეს ყოვლისა არის წმინდა რუსული რევოლიუციონური მოძრაობა, და მიმართულება, შიგნით აფერადებული, სწორედ რუსული „ობშჩინური“, ერთნაირი მისტიკური იდეები. იმდენად, რამდენად ეს რევოლიუციონური მოძრაობა არის, უეჭველად პროგრესიულიცაა. ამით ისინი წააგვანან იმ რევოლიუციონერთ, რომელნიც არსებობდნენ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს, ე. ი. იაკობინელს.

უეჭველია სიღარიბე და სისაძაგლე იმდენად იყო რუსეთში დაგროვილი, იმდენათ ლპობა იყო ძველი რეჟიმის ძირი, რომ მის აღმოსაფხვრელად საჭირო იყო ისეთი დიდი მოძრაობა, როგორიც არის ბოლშევიკური. ეს მოძრაობა არის ნამდვილი ღვიძლი შვილი რუსეთის მდგომარეობაში. რამდენათ მან ძველი ნაშთი სავსებით ამოაგდო და მისი დაბრუნება აღარ შეიძლება, იმდენათ ბოლშევიკური მოძრაობა პროგრესიულია (ხმები—მართალია). მაგრამ ამ ბოლშევიზმმა თავისივე როლი—ეს დიადი საქმე შეასუსტა იმით, რომ მას მიაკრა ისეთი იდეები, რომელიც განუხორციელებელია რუსეთის ფარგლებში—ეს ეგრეთ წოდებული კომუნისტური იდეები.

ამიტომ ბოლშევიზმს არის ორი სული—ერთი დადებითი პროგრესიული, მეორე სრულიად უარყოფითი, უტოპიური, რომლის განხორციელება შეუძლებელია. და ეს განუხორციელებელი უტოპია ასუსტებს იმას, რაც მასში არის დადებითი. ახლა რა მოძრაობა არის აზიის მოძრაობა.

უეჭველია აზიის მოძრაობაც არის რევოლიუციონური, ე. ი. მას უნდა თავისი თავის განთავისუფლება იმპერიალისტების ბატონობისაგან, შექმნა თავისი საკუთარი სახელმწიფო და თავისი თავის ბატონ პატრონი ყოფილიყო. მაგრამ ამ მოძრაობაშიაც არის ორი მხარე: იმდენად, რამდენადაც ეს მოძრაობა ღებულობს ნაციონალურ ფორმას—ის არის მოძრაობა რევოლიუციონური და პროგრესიული, მაგრამ იმდენად რამდენადაც იგი ღებულობს რელიგიურ პანისლამისტურ ფორმას, ეს მოძრაობა არის რეაქციონური. ვინაიდან არ არის ერის ბატონობა, არამედ ერთი რელიგია უპირდაპირდება მეორე რელიგიას. და უნდა ვსთქვა, რომ დღევანდელ აზიურ მოძრაობაში, რომელსაც ბოლშევიკები მეთაურობენ, სჭარბობს რელიგიური, პანისლამისტური მოძრაობა და ამიტომ ეს რეაქციონური მოძრაობა არის. მაჰმადიანებმა იციან რევოლიუციონურ ნაციონალური მოძრაობა. მაგალითად არაბებმა დააარსეს თავისი სახელმწიფო, სპარსეთში იყო და დღესაც არის რევოლიუციონური ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ არც სპარსელებს და არც არაბებს არა ჰქონიათ პანისლამისტური შეგნება ე. ი. მაჰმადიანობა ერთი სახელმწიფო უნდა იყოს და დაუპირდაპირდეს ქრისტიანობას. ასეთი აზრი არის სპარსეთში. აზრი უმთავრესად თურქების, ოსმალების აზრია და რამდენათაც ეს აზრი ვითარდება და ასეთი სამოსლით და დროშით გამოდის, უეჭველია, ასეთი მოძრაობა უარყოფილი არის.

ჩვენ გვაქვს ცნობები, ქემალ-ფაშის პარლამენტში ორი მიმდინარეობა იყო,—ერთი ნაციონალური, მეორე პანისლამისტური. საბოლოოდ ნაციონალური დამარცხდა და ნაციონალისტი დეპუტატები გარეკეს და დარჩნენ პანისლამისტები, და აი, ამისთანა პანისლამისტებთან კავშირი და საქმე აქვთ ბოლშევიკებს.

(გაგრძელება იქნება)

## მთავრობაში.

### [illegible]

დაევალოს ფინანსთა და სამხედრო მინისტრს [illegible] საკითხი თუ როგორ [illegible] ინგლისის ის ჯარისა და [illegible] გასასხიდავი ფული, რომელიც სა[illegible] გზას ერიდება.

— [illegible] იქნას შინაგან საქმეთა სა[illegible] წინადადება ტფილისის ქალაქის [illegible] მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის ზღვრებიდან საქონლის გატანის უფლება. ამასთანავე დაადგინეს დაჩქარებულ იქნეს ქალაქთა საბიუჯეტო უფლების კანონპროექტის დამუშავება.

— თანახმად ქ. ლანჩხუთის ქალაქთა თვითმართველობის დადგენილებისა გადაეცეს მას კვასძახის მამული უკვე შეფასებული ფასებში.

— გაუქმდეს ბათომზე დამფუძნებელ კრების ივლისის 18 დადგენილება. ამ დადგენილების ძალით ქალაქის თვითმართველობას უფლება ეძლევა განსაზღვროს სანიტარული გადასახადის რაოდენობა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით. 2) დაევალოს ჯანმრთელობის დეპარტამენტს, რომ სანიტარულ გადასახადის სახით მოკრებილი თანხა მოხმარდეს თავის დანიშნულებას.

— მთავრობამ დაადგინა შედგენილ იქნას კომისია მომარაგების სამინისტროს თავმჯდომარეობით სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთა კოოპერატივისათვის დახმარების აღმოსაჩენათ. დასახელებულ კომისიაში უნდა შევიდნენ ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრები და სახელმწიფო კონტროლიორი

1) დაიხუროს კაფე-შანტანები და კლუბები, რომელთაც გართობის ხასიათი აქვთ. აგრეთვე დაიხუროს ის რესტორანები, რომელსაც კაბინეტები აქვს და სხვა ამ გვარი დაწესებულებები. 2) დაწესდეს რესტორან, სასადილოებისა და სამიკიტნოებისათვის ვაჭრობა საღამოს 10 საათამდი ახალი დროით. 3) სასტიკად განისაზღვროს სამიკიტნოებისა და ყავახანების რიცხვი.

— აიკრძალოს ყოველგვარი ტკბილეულობის კეთება გარდა შაქრისა, შაქარყინულისა, მომპასესი, „სუხარებისა“ ნამცხვრებისა თა ბულკებისა 5. მშრომელთა სიმშვიდის დასაცავად აიკრძალოს კერძო ბინებზე ქეიფი და ყოველგვარი მხიარულება, რომელიც მეზობლის მყუდროებას არღვევს. პირველი მუხლის დამრღვევნი დაისჯებიან ოთხი თვის დაპატიმრებით ან 100,000 მან. ჯარიმის გადახდევინებით. მხოლოდ მეხუთე მუხლის დამრღვევნი კი დაპატიმრებულ იქნებიან ოთხი თვით და ან დაჯარიმებული 100,000 მან. აქედან შემოსული ფული გადაეცემა შრომის სამინისტროს სოციალურ დახმარების აღმოსაჩენად. დადგენილების შესრულება ევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს.

## შრომის სამინისტროში

### სოციალური დახმარება.

შრომის სამინისტროს სოციალურ დახმარების განყოფილებაში შედის მრავალი თხოვნა ყოფილ სახელმწიფო მოსამსახურეებისა, რომელთა საბუთებიც ოსმალთა შემოსევისა და ანარქიულ გამოსვლების გამო დაკარგულია. ეხლა მეტად დიდ სიძნელეს წარმოადგენს ამ საბუთების აღდგენა. ზემო აღნიშნულ მიზეზების გამო შრომის სამინისტროს სოციალ. დახმარების კომიტეტმა მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა დააკმაყოფილონ ამგვარ პირთა შუამდგომლობანი მიუხედავად საჭირო საბუთების უქონლობისა.

— სოც. დახმარების განყოფილებაში ამჟამად ირიცხება 1200 პენსიონერი, რომელნიც თვიურად 550—3000 მანეთამდე ღებულობდენ. პენსიონერთა საერთო რიცხვიდან ტფილისზე მოდის 75%.

— სოც. დახმარების განყოფილებას მოსდის ყოფილ სახელმწიფო მოსამსახურეებისა და ქვრივებისა, ობლებისა და მშობლების საჩივრები იმის შესახებ, რომ სამაზრო ერობათა გამგეობანი თვეობით აკავებენ მათ თხოვნებს ხშირად მთხოვნელებს უხდებათ 60—70 ვერსიდან ჩამოსვლა სამაზრო ქალაქში ჯანმრთელობის შესამოწმებლად, მაგრამ ხშირად ეს მგზავრობა მათ უცდებათ, რადგანაც ქალაქში ექიმი არ აღმოჩნდება. ეს დეფექტები უმთავრესად მით აიხსნება, რომ ერობებს არ აქვს სოც. დახმარების განყოფილებანი. ამასთანავე საქმეს ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ ერობები შრომის სამინისტროს უგზავნიან უსაბუთო თხოვნებს დახმარების შესახებ.

## უცხოეთი

(საინფ. ბიუროს ცნობა)

### ჯ. გლაზგოს წერილი ინგლისის პოლიტიკის შესახებ.

ყოველ კვირეულ გაზეთ „ახალ ევროპაში“ მოთავსებულია ჯორჯ გლაზგოს წერილი ინგლისის პოლიტიკური ხაზის შესახებ. წერილში აღნიშნულია: ინგლისის პოლიტიკა შემდეგ საერთო პრინციპებზეა აგებული: ევროპა არის მთლიანი პოლიტიკური არსი. მისი დანაწილება გავლენას ახდენს მთელ ორგანიზმზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ევროპა სავსებით ვერასოდეს ვერ გამომრთელდება, თუ გერმანია და რუსეთი გამორიცხული იქნა ევროპის სახელმწიფოებიდან. ინგლისი ფიქრობს, რომ საფრანგეთი ეკონომიურათ ვერ გაძლიერდება, თუ გერმანია და რუსეთი არ იქნა შეყვანილი ევროპის საერთო სამეურნეო სისტემაში. ბოლშევიზმი ვერ აფრთხობს ინგლისს. ინგლისელები დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთთან ზავის დადება საუკეთესო საშუალება იქნება ბოლშევიზმის მოსასპობად და რუსეთში კანონიერებისა და წესიერების აღსადგენად. ინგლისი დარწმუნებულია, რომ საზავო პოლიტიკა რუსეთის მიმართ უფრო მეტს შედეგს მოიტანს, ვიდრე სამხედრო პოლიტიკა. ინგლისი იმ თვალსაზრისზე სდგას, რომ ევროპაში რაც შეიძლება მალე უნდა დამყარდეს ნამდვილი მშვიდობიანობა, თუ კი ევროპის ცივილიზაციას დაღუპვა არა სურს. მშვიდობიანობის დროს ბოლშევიზმის გავრცელების შიში უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ომიანობის დროსო.

### სნოუდენის წიგნი.

დაიბეჭდა და გამოვიდა მისს სნოუდენის წიგნი „ბოლშევიკურ რუსეთში მოგზაურობის“ სახელწოდებით. სნოუდენი სწერს: ბოლშევიზმის შესახებ მე განსაზღვრული შეხედულება მაქვს: სიმართლე ბოლშევიზმის შესახებ ორ უკიდურეს შეხედულებათა შორის არსებობს. ყველაფერი ის, რაც რუსეთში თქმულა და გაკეთებულა—არ არის არც გენიალური არც მეტის მეტი კარგი, მაგრამ ბევრი რამ არც ისე ცუდიაო. სნოუდენს სწამს, რომ საბჭოთა რუსეთის მმართველნი შეიგნებენ თავის შეცდომებს. ამის საუკეთესო საშუალება კი იქნებოდა რუსეთის საერთაშორისო ოჯახში ჩარიცხვა. მაგრამ ამასთანავე სნოუდენი კიცხავს რუსეთში უმცირესობის მიერ ძალა უფლების ხელში ჩაგდებას და ფიქრობს; ოქტომბრის გადატრიალება რომ არ მომხდარიყო რუსის ხალხი მრავალ უბედურებას აიცდენდაო.

## წითელ აზერბაიჯანში.

(გაზეთებიდან)

### შემახის და განჯის აღსადგენად.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თაოსნობით ბაქოში დაარსდა ტეხნიკური კომისია, რომელსაც დაევალა შემახის და განჯის აღდგენა განახლება. ამ მიზნით ტეხნიკური კომისია იმუშავებს რამდენიმე გეგმას, როგორც რემონტის ისე სახლების შენებისას.

### ლიტერატურა მაზრისთვის.

შინაგან საქმეთა კომისარის ბრძანებით ბაქოში დაამზადეს 50.000 ეგზემპლიარი სალიტერატურო-საპროპაგანდო წიგნები. ეს ლიტერატურა დაიბეჭდა სამ ენაზე: რუსულზე, თურქულზე და სომხურზე და მაზრებში დაეგზავნათ როგორც საინსტრუქციო მასალა საბჭოთა რესპუბლიკის აღმშენებლობაში გამოსაყენად.

### ირანის კომუნისტური პარტია.

ბაქოდან ირანში გაიგზავნა რამდენიმე პირი საპროპაგანდო მიზნით. ამის გარდა თვალყურის დევნაც დაევალათ ამ პირებს, რომ ანგარიში გაუწიონ კომუნისტურ პარტიის მოღვაწეობას ირანში.

## ფრანგულ-ქართული ბანკეტი პარიზში.

სექტემბრის 27-ს პარიზში გაიმართა ფრანგ მრეწველთა მიერ მოწყობილი ფრანგულ-ქართული ბანკეტი. ბანკეტზე თავმჯდომარეობდა ბ-ნი ნულანსი, საფრანგეთის ყოფილი ელჩი პეტროგრადში. საფრანგეთის მთავრობის მხრით დაესწრნენ: სახალხო განათლების მინისტრი ბ. გონორატი, მრეწველობის აღორძინების მინისტრი ბ. ლიუშერი, საგარეო საქმ. სამინისტროს ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი ბ. ლიაროში, ამავე სამინისტროს ბეჭდვითი განყოფილების დირექტორი ბ. შილგო, საფრანგეთის უმაღლესი კომისარი კავკასიაში ბ. შუვალდი და სხ.

საფრანგეთის მრეწველობის, კომერსანტების და ფინანსისტებიდან ბანკეტს დაესწრნენ: ბ. ჟილე (ლიონისა და რუსეთის სავაჭრო ბანკისაგან) ბ.ბ. ბალარო, ფონტენი და რიბენი („კავკასიის საზოგადოებისაგან“), ბ. გერბერტი (აბრეშუმის მრეწველი ფირმა „გაბრიელ გრიელისაგან“) ბ. ფერარი („ფერანის“ ფირმისაგან) ბ. ბ. მურსიე და დემატრი

(მარგანეცის ფრანგ მრეწველებისაგან) და მრავალი სხვა.

საქართველოს მხრივ ბანკეტზე დაესწრნენ: ნ. ს. ჩხეიძე, ე. პ. გეგეჭკორი, კ. კანდელაკი, ფ. გოგიჩაიშვილი, ი. ჯავახიძე, ი. ელიგულაშვილი და სხ.

ბანკეტის თავმჯდომარე ბ-ნი ნულანსი მიესალმა რა საქართველოს წარმომადგენლებს დიდი თანაგრძნობა (სიმპატია) გამოსთქვა ახალგაზრდა რესპუბლიკისა და მისი მთავრობის მიმართ. მან მოიგონა ქართველი ერის სახელოვანი წარსული და შემდეგ თანამედროვე საქართველოს შინაურ მდგომარეობის დახასიათებაზე გადავიდა: „ამ ორი წლის განმავლობაში საქართველომ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა. თქვენი რესპუბლიკა თქვენი მეზობლებისათვის წესრიგისა და თავისუფლების მაგალითს წარმოადგენს. საფრანგეთი ვალდებულია დიდის ყურადღებით და გულწრფელი თანაგრძნობით მოეპყრას საქართველოს და დახმარების ხელი გაუწოდოს მას—სთქვა ნულანსმა.

თავმჯდომარის შემდეგ ვრცელი საქმიანი სიტყვა წარმოსთქვა ბ. ბაირმა, როგორც საფრანგეთის მრეწველობის წარმომადგენელმა.

ბ. ბაირმა მოიგონა საფრანგეთის კაპიტალის დიდი ხნის მუშაობა საქართველოში—ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში, სპილენძის მრეწველობაში და წყლის ენერგიის ელექტროფიკაციის საქმეში. ბაირი, როგორც პირდაპირი მონაწილე მთელ რიგ სამრეწველო დაწესებულებისა, რომელიც საფრანგეთის კაპიტალით შეიქმნა საქართველოში, აღნიშნავს, რომ იგი იცნობს საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს და ქართველ ხალხს. მას მტკიცედ სჯერა, რომ ამ ახალგაზრდა რესპუბლიკას ბრწყინვალე მომავალი ექნება. ბაირს თვალსაჩინოდ მიაჩნია საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული შედეგები, მაგრამ მომავალში იგი მისგან უფრო მეტს მოელის.

ბაირმა თავის სიტყვის დასასრულს სთქვა: ეს დიდი მუშაობა, რომელიც უკანასკნელი წლის განმავლობაში გასწიეს აქ წარმოდგენილმა საფრანგეთის ფირმებმა, ნათელ ყოფს ამ ქვეყნის ბრწყინვალე პერსპექტივებს აბრეშუმის, მატყლის, ტყავის და თუთუნის გატანის საქმეში, ხოლო მომავალში თუ ელექტრონის მრეწველობა აღორძინდა ხეტყის გატანაც შეუქმნის მრეწველობას საუკეთესო პირობებს. თქვენში ყველაფერი მოიპოვება, რაც საჭიროა ვაჭრობის განვითარებისათვის, რომ ამ გზით მიიღოთ თქვენთვის საჭირო საფაბრიკო საქონელი, განამტკიცეთ თქვენი ვალიუტა. თქვენში მომუშავე ფრანგებს საშუალება ჰქონდათ გაეცნობოდენ თქვენს ინჟინრებსა და მუშა მოსამსახურეებს. იმათ, იციან თუ როგორის ხალისით ეწაფებიან ქართველები ახალ საქმეს და როგორ იოლათ ითვისებენ ახალ ცოდნას, ჩვენ სიამოვნებით ვიმუშავებთ იმ ორ სახელმწიფოთა დასაახლოებლათ, ჩვენ განზრახვა გვაქვს ამ მოკლე ხანში საფრანგეთში შევქმნათ ლიცეი, რომელშიაც შეისწავლიან სპეციალურ საგანს საქართველოდან გამოსული ახალგაზრდები.

ნულანსისა და ბაიარის საპასუხო სიტყვები სთქვეს კ. პ. კანდელაკმა, ე. პ. გეგეჭკორმა და ნ. ს. ჩხეიძემ. კანდელაკმა თავისი სიტყვაში დახატა საქართველოს მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა, რომლის მიზანიცაა ხელი შეუწყოს სახელმწიფოში სამრეწველო ძალების განვითარებას. შემდეგ ბ-ნმა კანდელაკმა სთქვა: „ევროპის მოწინავე ხალხთა ცოდნამ და გამოცდილებამ უნდა გაანაყოფიეროს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე; საქართველოსა და საფრანგეთის თანამშრომლობა ორივე მხარეს მოუტანეს სარგებლობას, ფრანგი მრეწველები, რომელნიც მოდიან ჩვენთან სერიოზულ მუშაობისათვის და ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინების დასახმარებლად ყოველთვის ჰპოვებენ საქართველოს მთავრობის მხრით დახმარებას.

მე შემიძლია შეგპირდეთ, რომ ამგვარ მუშაობაში მათ ზარს არ ეტყვიან". ფინანსთა მინისტრის შემდეგ ილაპარაკა ე. პ. გეგეჭკორმა. თავის მოკლე სიტყვაში, რომელიც წარმოთქმული იქმნა ფრანგულ ენაზე ე. პ. გეგეჭკორმა ნულანსა და ბაიარს მადლობა გადაუხადა საქართველოს მიმართ ასეთი თბილი გრძნობების გამოთქმისათვის. საფრანგეთის დახმარება სთქვა მან—ძვირფასიათ ჩვენთვის ასეთი გზით შესაძლებელია განმტკიცდეს მეგობრული კავშირი საქართველოსა და თქვენს რესპუბლიკას შორის, რომელმაც მისცა მთელ ქვეყნიერებას თავისუფლების პირველი გაკვეთილი. ბანკეტის დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა ნ. ჩხეიძემ. დამფუძნებელ კრების თავმჯდომარემ გამოსთქვა თავისი ღრმა რწმენა, რომ არც საქართველოში და არც საფრანგეთში არ იქნება ასეთი ადამიანი, რომელსაც ამ ორ სახელმწიფოთა ეკონომიური თანამშრომლობა მიუკილებელ საჭიროებათ არ მიაჩნდეს. „ასეთი ეკონომიური დამოკიდებულება ურთიერთ შორის აქამდისაც უნდა დაგვემყარებია, მაგრამ დაგვიანებული არც ახლა არის. უნდა ვიზრუნოთ, რომ ასეთი დამოკიდებულების დამყარებას ხელი არაფერმა შეუშალოს. სამწუხაროთ დღესაც არ არის თავიდან აცილებული ყველა დაბრკოლება. საქართველოს რესპუბლიკა ჯერაც არ არის იურიდიულად ცნობილი, და ეს გარემოება ბორკავს მას როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ სფეროში. ეს ორი სფერო ძალიან მჭიდროთ არის ერთმანეთთან დაკავშირებული; მათი განცალკევება შეუძლებელია. ორი ქვეყნის ეკონომიური დაახლოვებისათვის აუცილებლივ საჭიროა მათი პოლიტიკური დაახლოვებაც. დასასრულ ნ. ს. ჩხეიძემ გამოსთქვა ღრმა რწმენა, რომ საფრანგეთის მმართველი წრეები, რომლებიც დაესწრნენ ამ ბანკეტზე, რომ ამით საქართველოსადმი თავისი მეგობრული გრძნობა გამოეცხადებიათ ხელი შეეწყოთ საქართველოს ეკონომიური დაახლოვებისათვის, ყოველ ღონეს იღებენ, დასავლეთის დიდი სახელმწიფოებისაგან კერძოთ საფრანგეთის მთავრობისაგან საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის დასაჩქარებლათ.

# ახალი ამბები

✦ **რესპუბლიკის საავადმყოფოები.** მთავრობამ ოქტ. 31 სხდომაზე დაადგინა მიხეილის საავადმყოფოს ამიერიდან დაერქვას რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო. ოლღას სახელობის ბაბებით ინსტიტუტს კი რესპუბლიკის ბაბებით ინსტიტუტი.

✦ **ქაღალდ. ეკონომიისათვის.** შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორის სახელით გამოვიდა შემდეგი ბრძანება: ქაღალდის მომჭირნეობის მიზნით ყოველგვარი ბრძანება იმყოფებოდეს ქაღალდის ნახევარ ფურცელზე, შავი იწერებოდეს ნარჩენ ქაღალდზე ყველა ქაღალდი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს თავის დანიშნულებისამებრ ივზავნებოდეს იმავე ქაღალდით, რეზოლიუციის სხვა ქაღალდზე გადაუწერლათ. განყოფილების უფროსებს ევალებათ ამ ბრძანების სისრულეში მოყვანა.

✦ **სახალხო უნივერსიტეტში.** ოქტომბრის 31 გაიხსნება სახალხო უნივერსიტეტი. გახსნაზე მოწვეულია მთავრობის თავმჯდომარე ნ. ნ. ჟორდანია, კარლ კაუცკი და აგრეთვე საზოგადო მოღვაწენი. ამ წლიდან სახალხო უნივერსიტეტში ლექციების კითხვა სისტემატიურათ დაიწყება. უნივერსიტეტი გაიხსნება ძველ ბინაზე პლეხანოვის ქრის.

✦ **წ. კ. გ. საზოგადოების კრება.** კვირას, 31 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, ახალი კლუბის დარბაზში დანიშნულია წ. კ. გ. საზ. ტფილისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება. განსახილველი საგანი: 1. მოხსენება წ. კ. გამავრც. საზოგადოების მთავარ-გამგეობისა საზოგადოების ტფილისის განყოფილების მდგომარეობის შესახებ. 2. არჩევნები განყოფილების ახალი წევრებისა. 3. არჩევნები განყოფილების გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

✦ **ჯანმრთელობის დეპარტამენტში.** ჯანმრთელობის დეპარტამენტმა დაადგინა ოქტომბრის 28-23-დე გადამდებ სნეულების შესახებ ცნობები. ამ ცნობების მიხედვით ოქტომბრის 15 ბათომში შავი ჭირით ავად ყოფილა 18 კაცი. ერთი კვირის განმავლობაში ავად გამხდარა 3, მორჩენილა 6, მომკვდარა 2, საავადმყოფოში დარჩენილა 13, ფოთში ავად გამხდარა 1. ამავე ცნობებით ტფილისში აღნიშნულ დროს განმავლობაში ხოლერით არავინ ავად არ გამხდარა.

✦ **მიწის ძვრა.** ოქტ. 29 ღამით მოხდა ძლიერი მიწის ძვრა, რომელიც 4 წამს გაგრძელდა. მიწის ძვრამ ზარალი მოიტანა თუ არა გამოკვლეული არ არის. შინ. საქ. სამინისტრო შეეკითხა გორის და მისდამი რწმ. დაწესებულებებს მიწის ძვრის შესახებ. დეპ. საგ. შეკითხვაზე უპასუხა რომ მიწის ძვრისაგან დაზარალების შემთხვევები ჯერ შენიშნული არ არისო. სამთო სამმართველოც შეეკითხა გორის სეისმოგრაფიულ სადგურს მიწის ძვრის შესახებ, მაგრამ პასუხი ჯერ არ მოსულა.

✦ **გზათა დეპარტამენტში.** გზათა უწყების დეპარტამენტი აცხადებს, რომ ზოგიერთი მოთავსებული ცნობა იმის შესახებ, რომ ელექტრონის სადგურები 4 თვის განმავლობაში უზრუნველყოფილია სათბობი მასალით, სიმართლეს არ შეიცავს.

✦ გზათა უწყების დეპარტამენტის დირექტორმა ჭიჭინაძემ დაამთავრა ქართულ ენაზე ორთქლის ქვაბების კურსის შედგენა საშუალო ტეხნიკურ სკოლებისთვის. ამ წიგნს გამოსცემს წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

# სასურსათო ცხოვრება

ტფილისის ქალაქის გამ. სასურსათო განყოფილება საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებათა საყურადღებოთ აცხადებს, ოქტომბრის 30 და 31 ცენტრალურ საწყობში დაიწყები ხორბლის და ქერის ქატოს გაწმენდისას დარჩენილ მარცვლების გაყიდვა. ცნობის მიღება შეიძლება ტეხნიკურ ზედამხედველობის განყოფილებაში. სასურსათო განყოფილება ყიდის 20 მანეთად გირვანქა ქართოფილს. ქართოფილი იყიდება სასურსათო მაღაზიაში. სულზე იძლევიან არა უმეტეს 10 გირვანქისა.

**ნ ა ვ თ ი**

ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა დაურიგოს მცხოვრებთ სასურსათო ბარათები, რომლითაც პირველ ყოვლისა მიეცემათ ოჯახზე 20 გირვანქა ნავთი თვიურათ. ბარათები შემოღებულ იქმნება ნოემბრის 1. ბარათები მიეცემა მცხოვრებთა დასარიგებლათ სახლის კომიტეტის რწმუნებულს. ბარათების მისაღებათ სახლის კომიტეტის რწმუნებულმა უნდა წარმოადგინოს: 1) სახლის მცხოვრებთა რწმუნება, 2) სახლის წიგნი და 3) სახლში მცხოვრებ ოჯახთა სია და სწორი ცნობა, თუ რამდენი სულია თითოეულ ოჯახში. ყოველ ოჯახს მიეცემა ერთი ბარათი. კერძო პირებს ბარათები არ მიეცემათ და ამიტომ ისინი რომელიმე ოჯახს უნდა მიეწერონ.

**ხ ა ხ ვ ი.**

მუშათა მაგიდამ მიიღო 2 ვაგონი ხახვი. 1 ვაგონი გადაეცა ტრამვაის და ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთ. ამ დღეებში კიდევ მოელიან რამოდენიმე ვაგონ ხახვს, რომელსაც მაგიდა დაურიგებს სხვა და სხვა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებს.

# ეროვნათა საყურადღებოდ

მოგეხსენებათ, რომ განახლებულ სკოლის პრინციპები მაშინ ტარდება ცხოვრებაში მოზარდ თაობის საკეთილდღეოდ, თუ განახლებულ სკოლას ჰყავს შესაფერი მემკვიდრე, მისი მახლობელი, უშინსკის სიტყვით რომ ვსთქვათ, სულის ჩამდგმელი—მასწავლებელი. გამოცდილ მასწავლებელთა რიცხვი კი დღეს შექმნილ პირობებისა გამო საძებნელია ყველა საფეხურის სკოლებისთვის.

ამ ანორმალურ მოვლენას სათანადო ყურადღება მიექცა ჯერ წარსულ წელში მთავრობისაგან და სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსდა მასწავლებელთა მოსამზადებლად ორ საფეხურიანი სპეციალურ-პედაგოგიური კურსები. პირველი საფეხურის ორ წლიანი კურსები იძლევა მომზადებულ მასწავლებელთ უმაღლეს დაწყებით სასწავლებელთათვის, ხოლო მეორე საფეხურის 4 წლიანი კი—საშუალო სასწავლებელთათვის.

პირველი საფეხურის კურსები უკვე მოწყობილია წარსულ წლიდან, სადაც ოცამდის მიღებულია დაარსებისთანავე მსმენელები. ხსენებულ საფეხურზე მსმენელთა რიცხვი წელს კი 45—50 გაიზარდა.

სპედაგოგიო ინსტიტუტს სათავეში უდგას ცნობილი პედაგოგი ბ. დ. უზნაძე, რომლის ცდა მიმართულია თანამედროვე საზღაპრო სიძვირეში მსმენელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

პირველი ცდა ამ მხრივ გამოიხატება იმაში, რომ ინსტიტუტის გამგეობას მიუმართავს რესპუბლიკის გამგეობებისათვის და უთხოვნია თავიანთი სტიპენდიების დაარსება მსმენელთათვის მისაღებ პირობებში.

ზოგიერთი სამაზრო ერობაც გამოხმაურებია ხსენებულ მიმართვას და დაუარსებია უკვე სტიპენდიები, ხოლო ზოგს კი ჯერ პასუხიც არ მოუცია.

ვინაიდან მსმენელებისთვის მეტად მოუხერხებელია სამსახურში შესვლა და ამავე დროს ლექციების მოსმენაც, რადგან მეტად მნიშვნელოვანი ლექციები მსმენელთათვის იკითხება დღით სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო საღამოს ინსტიტუტში, ამიტომ მრავალი მსმენელი ნაცვლად ენერგიულ მეცადინეობისა, იძულებულია ლუკმა პურის ძებნაში ჩამოშორდეს მეცადინეობასაც. ამიტომ მივმართავ რესპუბლიკის სამაზრო ერობებს, სხვა და სხვა დაწესებულებათ და ქველმოქმედ სტიპენდიების დაარსებით თუ კერძო დახმარებით კეთილ ინებონ და ხელი შეუწყონ მეცადინეობას ჩვენი ერის და მოზარდ თაობის საკეთილდღეოდ.

საპედაგოგიო ინსტიტუტის მსმენელთა კავშირის გამგეობის წევ. **ხტ. ნიკოლაიშვილი.**

# ისტორიული წერილები.

რუსეთისათვის პირველად ქართველ ჯარისკაცთა გაწვევის ისტორია 1783 წელს რუსეთთან დადებული ხელშეკრულობისა, და 1800 წლ. კიდევ მეფე გიორგის მიერ ტრაქტატის დამტკიცების ოთხის მუხლის თანახმად, რუსეთის სახელმწიფოს უფლება არ ჰქონდა, ქართველთაგან ჯარისკაცნი გაეყვანა.

მაგრამ მიუხედავათ ამისა ალექსანდრე პირველმა ტრაქტატი დაარღვია და 1801 წ. საქართველო რუსეთის ნაწილად, მის გუბერნიად აღიარა.

ამგვარად 1783 წ. ტრაქტატს, პირველათ მძლავრი წიხლი ალექსანდრე I-ლმა ჰკრა და მის შემდეგ, მის მემკვიდრეებსაც ჩვეულებათ გადაექცათ ნელ-ნელა ტრაქტატის ყველა მუხლი მუხლები გაეუქმებიათ. ჯერ 1832 წ. ტფილისში მოსპეს ქართული ფულის მოჭრა. გააუქმეს აგრეთვე საქართველოს მთავარმართებლის სახელწოდება და მას უწოდეს „კავკასიის მთავარმართებელი". მოსპეს „ქართული ხაზინა" და უწოდეს მას „კავკასკოე კაზნაჩეისტვო". მოსპეს „ქართული პალატა, ქართული საექიმო გამგეობა და ბევრიც სხვა ასეთნი და ყველა მათ უწოდეს საქართველოს მაგიერ კავკასიისა. დარჩა დროებით ხელშეუხებელი მხოლოდ საქართველოს ეგზარხოსი, რადგანაც ის საქართველოს ეროვნულ სიკვდილს უფრო უწყობდა ხელს ვინემ მის აღდგომას.

რაც შეეხება ტრაქტატის იმ მუხლს, რომლის თანახმად საქართველოდან ჯარი არ უნდა გაეყვანა, ისიც დარღვეულ იქნა.

1877 წელს ატეხილი რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, რუს გენერლებს არ ქონდათ იმედი, რომ ქართველები ნებით გავიდოდენ ჯარში, ამისათვის ძალადობისთვისაც კი უნდოდათ მიემართათ, მაგრამ ჯარში გაწვევის შესახებ განცხადებას ქართველი ერი დიდის ერთგულებით მიეგება. მოკლე დროის განმავლობაში მთელი რუსეთის ჯარების ყაზარმები გაავსო ქართველთა შვილებით, რომელნიც თავიანთ ნებით და სურვილით ცხადდებოდენ მთავრობის წინაშე. ამ გარემოებამ რუსეთის სამხედრო მთავრობას სულ სხვა სურათი გადუშალა თვალწინ და ჩვენმა მტრებმა რუსის გენერლებმაც ხმა ჩაიწყვიტეს.

რუსეთის მაშინდელი მთავრობა ქართველი ერის ასეთ ერთგულებას და ომში გასვლას დიდის პატივისცემით და სიხარულით მიეგება. მათ ისურვეს მეომართა ერთი ნაწილის პატივისცემა, ალექსანდრეს ბაღში ერთ დღეს ამ ქართველ მეომრებს სადილი გაუკეთეს, რომელსაც დაესწრნენ პოეტი გენერალ ლეიტენანტი გრიგოლ ორბელიანი, იმ დროის მთავარმართებლის ხელქვეითი გენერალი ლევან მელიქიშვილი, გენერალი ივანე ამილახვარი და ბევრნიც სხვანი დიდი ხარისხის გენერლები. რამდენიმე დღის შემდეგ ქართველი მხედრობა გაამგზავრეს საომარ ასპარეზზე, სადაც მან დიდი გმირობა და თავდადება გამოიჩინა, რუსის გენერლები განცვიფრებაში მოყავდა ქართველი მხედრობის სიმამაცეს.

**ზ. ჭ.**

(შემდეგი იქნება).

# ფოსტა-ტელეგრაფში

**სია ჩაუბარებელი დეპეშებისა**
**26 ოქტომბერს,**

გაგრიდან—სიტინს, ოზურგეთიდან—დეთეშაშვილს, რადიონოვკიდან—აგამიანცს, სადახლოდან—მოსესოვს, ბათუმიდან—მაირანოვსკის, ზემოსურებიდან—ჭეიშვილს, ბათუმიდან—რადკევიჩს, ხონიდან—ბახტაძეს, ბათუმიდან—სიამაშვილს, გორიდან—მარღიშვილს.

**27 ოქტომბერს.**

ქუთაისიდან—კუხიანიძეს, სენაკიდან—უშაროვისას, ეკატერინოვკიდან—გო. გოცირიძეს, ახდალიდან—ანდრიას, ოჩემჩირიდან—მარშანიას, ოზურგეთიდან—დათუშაშვილს სოხუმიდან—მარგოსიანს სადახლოდან—ტერპოგოსოვს, ოზურგეთიდან—მაშედ ეფენდი მჟავანაძეს, ძირულიდან—სვიმ. ამაშუყელს, სენაკიდან—,ეტრია დვალის, ბორჯომიდან—რ. ბუაძეს, ყაზბეგიდან—ნიკოლოზის ქ. № 96, ბათუმიდან—სტრელკოვს, ბათუმიდან—მარგიონს, იქიდანვე იოს. ლომაძეს, ალექ-

სანდროპოლიდან—მურადიანს, წნორისწყ.—ჰავჰავაძეს,

**ტელეფონების მოქმედების შეჩერება.**

ღამით 25 ოქტომბერს კირკის ქუჩაზე გასდა ქალაქის წყალსადენის მილები; წყალმა აავსო ტელეფონის ქსელის ჯირგინის ჭები, რამაც გამოიწვია ჯირგინის ყველა ძარღვების მიწით შევსება; ამის გამო შეწყდა ტელეფონებით მოქმედება მტკვრის გაღმა მდებარე რაიონებში საბურთალო პლეხანოვის, ცლისუბიდის, ნიკოლოზის, ჩერქეზიშვილის, ვაგზლის და სხვა მახლობლად მდებარე ქუჩებზე. მუშაობა დაზიანებულ კაბელის გასასწორებლად სწარმოებს განუწყვეტლივ დღეღამე და ყოველივე ზომები მოქმედების აღსადგენად მიღებულია.

# სია.

**1900 წ. დაბადებულთა, რომლებიც არ იქნენ შეტანილი ამა წლის ჯარში გასაწვევ პირთა სიაში ცოდნების გამო.**

### გ.

336. გრიგორიევი იოანე ათანასეს ძე. 337. გოგიჩაძე იოსებ გიორგის ძე. 338. გასპარიანცი არტაშეს მარტიროსის ძე. 389. გარიბიანცი აშოთ გრიგოლის ძე. 340. გულიანცი გარეგინ არსენას ძე. 341. გალსტიანცი რუბენ იაგორის ძე. 342. გაპანოვი ლეონიდ ვასილის ძე. 343. გაპანოვი იური ვასილის ძე. 344. გამყრელიძე შალვა ალექსის ძე. 345. გებროვი ვასილ ზაქარიას ძე. 346. გოგელაძე გიორგი ესტატეს ძე. 347. გოგინაშვილი ივანე დავითის ძე. 348. გოცირიძე არჩილ მიხეილის ძე. 349. გელაძე სოლომონ ზაქარიას ძე. 350. გერმანოვიჩი ევგენი მიხეილის ძე. 351. გრიგორენკო პავლე. 352. გემოვსკი ნიკოლოზ ივანეს ძე. 353. განიკი პეტრე მიხეილის ძე. 354. გოლაშვილი ვლადიმერ აბრამის ძე. 355. გალუსტიანცი ოვსეფ გრიგოლის ძე. 356. გამბარიანცი ტიგრან გიგოლას ძე. 357. გორობცოვი ანდრია სტეფანეს ძე. 358. გრიგორიევი გიორგი იაგორას ძე. 359. გილიანოვი ალექსანდრე მოსეს ძე. 360. გრიგორიანცი ბ ღდასარ სარქისას ძე. 361. გრიგორიანცი გარეგინ ვოსკანას ძე. 362. გრიგორიანცი იაკობ სტეფანეს ძე. 363. განიევი ანტონ ანტონის ძე. 364. გიამჯიანცი სარქის არუთინას ძე 365. გულაზიანცი არშაკ ოვანესას ძე. 356. გიამზიანცი გევორქ გრიგოლის ძე. 357. გასპარიანცი გევორქ გევორქის ძე. 368. გრიგორიანცი არტაშეს არუთინას ძე. 369. გონალიანცი გევორქ სარქისას ძე 370. გევორქიანცი ოვსეფ თადევოსის ძე. 371. გრიგორიანცი სურენ კარაპეტას ძე. 372. გოროზოშვილი ანტონ დავითის ძე. 373. გერშბაუმი გარევინ ვლადიმერის ძე. 374. გოლშტეინი ნაუმ იაზაკოვის ძე. 375. გოველაშვილი იოანე დიმიტრის ძე. 476. გაგავა დავით გიორგის ძე. 377. გიგაური მიხეილ დავითის ძე. 378. გოქარაშვილი გრიგოლ ილიას ძე. 379. განი სერგო ქრისტეფორეს ძე. 380. გვარამაძე ზაქარია ესტატეს ძე. 381. გოგიაშვილი ისაკ მიხეილის ძე. 382. გედევანოვი შალვა გიორგის ძე. 383. გუშჩინი ალექსანდრე გრიგოლის ძე. 384. გოროდნიჩენკო ილია პავლეს ძე. 385. გავრილოვი ნიკოლოზ. 386. გონოევი ალექსი სტეფანეს ძე. 387. გრიბენიკოვი ნიკოლოზ იოსების ძე. 388. გრიგონეზი ვლადიმერ (შვილი კლავდია კარლოსის ასულისა). 389. გავრილოვი ალექსი ივანეს ძე. 390. გუდცი თევდორე იერემიას-ძე. 391. გრინვალდი ვლადიმერ სერგოს ძე. 392. გაუფი მაქსიმ-ევალიდ იაკობის ძე. 393. გაუფი ფრანც-რუდოლფ იაკობის ძე. 394. გოგობერიძე გიორგი სიმონის ძე. 395. გოცირიძე ბიქტორ ნესტორის ძე. 396. გოგოშვილი სერგო ალექსანდრეს ძე. 397. გეგელიძე გრიგოლ ალექსანდრეს ძე. 398. გიგაური მიხეილ ვასილის ძე. 399. გონცევიჩი ილია (შვილი იულია კლემენტის ასული. 400. გლიადკოვი ლეონიდ პეტრეს ძე. 401. გორიუნიხინი მიხეილ დანიელის ძე. 402. გონჩაროვი გრიგოლ ლიუკსიანის ძე. 403. გაიბოვი ბორის ნიკოლოზის ძე. 404. გრქეცი ნიკოლოზ. 405. გრიგორენკო პავლე გრიგოლის ძე. 406. გუდკოვი ალექსანდრე გრიგოლის ძე. 407. გედევანოვი ალექსანდრე დიმიტრის ძე. 408. გიორგვანი ლეონ ნიკოლოზის ძე. 409. გელაძე კონსტანტინე ალექსანდრეს ძე. 410. გაბაევი გიორგი ალექსანდრეს ძე. 411. გიაზარიანცი პეტროს დანიელის ძე. 412. გევოზიანცი სუსუკ აკოფას ძე. 413. გევორქიანცი გაიკ ისაკას ძე. 414. გასპარიანცი ოვანეს მანუკას ძე. 415. გრიგორიანცი ოვანეს ასტვაცატურის ძე. 416. გორსკი ალექსანდრე ალექსის ძე. 417. გუჩკოვი კონსტანტინე სიმონის ძე. 418. გარგაზიანცი პეტრის კარაპეტას ძე. 419. გრიგორიანცი გეურქა ივანეს ძე. 420. გუტიკაშვილი დავით ალექსანდრეს ძე. 421. გიორგაშვილი ვასილ მიხეილის ძე. 422. გონჩაროვი სერგო. 423. გრიგორიანცი სურენ შალვას ძე. 424. გასპარიანცი ხაჩატურ პეტროსის ძე. 425. გოცირიძე აბრამ ივანეს ძე. 426. გასპარიანცი გეორქ პოღოსას ძე. 427. გრიბკოვი ნიკოლოზ ვასილის ძე. 428. გრაბოვსკი ვლადიმერ ვლადიმერის ძე. 429. გამაიანცი სერგო სებოს ძე. 430. გერმანოვიჩი ევგენი მიხეილის ძე.

## განცხადებანი

დაიკარგა ვექსილი 50,000 მან. მიხეილ ნიკოლოზის ძე ოგანეზოვის სახელზე, მიცემული აბრამ ყასუმ აშიმ ოღლის მიერ მ. წ. ოქტომბრის 28-ს ვადით 1921 წ. ივლისის 1-მდე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3444 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 179 ნიკო თედორესძე მარკოზიშვილის სახელზე, მიღებული თელავის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3430 3—2

დაიკარგა პასპორტი № 8473 სიმონ მიკირტის სიმონიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3416 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა სარდიონ ქაიხოსროს ძე მოდებაძის სახელზე, მიღებული ჭიათურის მილიცის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3423 3—3

დაიკარგა პასპორტი № 1771, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1909 წ. მეტრიკული მოწმობა, მიღებული შიიტების სასულიერო სამმართველოდან და ატესტატი მუსულმანთა სასწავლებლის დამთავრების მამედ თაგი თაგიევის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3425 3—3

ვანის რაიონის სახალხო გვარდიის რწმუნებულს დაეკარგა ბეჭედი წარწერით „ვანის რაიონის სახალხო გვარდიის რწმუნებული. გაუქმებულად ჩაითვალოს. 965 3—3

სამხედრო სასამართლო, თანახმად 1920 წ. გამწესრიგებელ სხდომის დადგენილებისა, ეძებს შულავერის სანაპირო რაზმის ჯ. კ. ივანე პოლიკარპის ძე ბონდარევს, რომელიც მიცემულია სამართალში თანახმად 163 მუხ მუხ. XXII წ. ს. დ. კ. 1869 წ. გ. მე-4-ე

ყველა ვინც იცის სად იმყოფება აღნიშნული ბონდარევი, ვალდებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქუჩაზე № 32.

965 3—3

სამხედრო სასამართლო თანახმათ 1920 წ, 8 ენკენისთვის გამწესრიგებელ სხდომის დადგენილებისა ეძებს ცხენოსანი პოლკის ჯ. კ. ივანე ბოტინიკოვს, რომელიც მიცემულია სამართალში ნაწილიდან თავის ნებით წასვლისა და შემდეგ გაქცევისათვის.

ყველა ვინც იცის სად იმყოფება აღნიშნული ბოტნიკოვი ვალდებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქუჩაზე № 32.

966 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან სარეგისტრაციო მოწმობა მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და მეეზოვეთა კავშირის წიგნაკი. გარეგინ ბაღდასაროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3402 3—1

დაიკარგა ტრამვაის ბილეთი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან და სამსახურის ნუსხა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან მილიციონერ იოსებ ივანეს ძე კოკოევის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
3452 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის სამმართველოდან თამარა ივანეს ასულის უზბაშევას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3453 3—1

# აუქციონი.

**ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის.**

შესდგება კვირას 7 ს. ნოემბერს დილის 10 ს. ლომბარდის შენობაში, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 8, გაიყიდება ვადაგასული გირავოები: ძვირფასი ქვები, ლითონის და სხვა ნივთები №№ 79241, 80439, 86574, 86575, 87242, 87367, 87802, 87804, 87805, 87840, 87872, 87938, 87956, 87988, 87995, 88014, 88029, 88042, 88053, 88061, 88062.

მიიღება ნივთები უცხო პირებისაგან გასასყიდათ. 3454 1—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 1404 მიღებული უკრაინის საკონსულოდან ქ. ტფილისში და ხელშეკრულება ბორჩალოს მაზრაში მამულის შესახებ. შედგენილი ტფ. ნოტარიუს ქართველიშვილთან ალექსი ვონიკატის ძე ლევანდოვსკის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3455 3—1

დაიკარგა ოჯახის შემადგენლობის მოწმობა № 149 ბარსეგ ვართას ძე ვართანოვის სახელზე, მიღებული ტფ. 13 უბნ. კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
3457 3—1

დაიკარგა პასპორტი № 19109 რუბენ მარკარის ძე მოტესიონ-ხაჩატუროვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
3458 3—1

დაიკარგა პასპორტი არმენაკ არშაკის ძე სტეფანიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3461 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან ალექსანდრე სერიას ძე ტეროგანეზოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3464. 3—1

დაიკარგა მეტრიკა იკერთის ეკლესიიდან (გორ. მაზრა), სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული გორის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და თავისუფლების მოწმობა, მიღებული მეოთხე ქართულ პოლკიდან ალექსი ივანესძე ბუთხუზის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3465 3—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ვანო გაბრიელისძე დოთიაშვილის სახელზე, მიღებული კირბლის ეკლესიიდან (გორის მაზრა), გაუქმებულად ჩაითვალოს. 3466 3—1

ყვარლის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სოფელ ძველგავაზში მცხოვრებელ საბა გიორგის ძე ალიკოშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ ალვიარონ თავანთი უფლება ალიკაშვილის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე მე-X-ტ. I ნაწ. კანონ კრებ. 1231 მუხ. აღნიშნულ ვადაზე. 3398 1—1

ყვარელის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სოფელ შილდაში მცხოვრებელ ლაზარე ელოშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ ალიარონ თავიანთი უფლება ელოშვილის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე მე-X ტომ. I ნაწ. კანონ. კრებ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაზე
3398 1—1

ჭიათურის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის არტემ ხვედელიძის დანარჩენ ქონებაზე, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება—თანახმათ 1241 მუხ. 10 ტ. 1 ნაწ. კან. კრებ. აღნიშნულ ვადაში. 3400 1—1

ჭიათურის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის მცხ. ს. მორძგვეთში, შორაპნის მაზრისა, ივანე გიორგის ძე ღვალაძის ქონებაზე, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება მე-1241 მუხ. სამ. საქ. წარმ. წესდ. ტ. მე-10 ნაწ. 1 აღნიშნულ ვადაში. 3400-1—1

დაიკარგა ჯარში გამწვევ უბნებზე მიწერილობის მოწმობა № 836 და მოწაფეობის ბილეთი № 564 ქ. ვეტცელის სახელზე, მიღებული ტფ. 2 ვაჟთა გიმნაზიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3462 3—1

დაიკარგა პასპორტი ვერა ყარამანის ასულის მგელაძის სახელზე, მიღებული ჩოხატაურის ერობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
3448 3—1

დაიკარგა პასპორტი № 263 იან იანის ძე ბუვმეისტერისაგან, მიღებული კურლიანდიის გუბერნიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
3467 3—1

გურჯაანის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ 1919 წელს იანვრის 27 დღეს სარქის მარტიროზას დათოაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება აღნიშნულ ვადაში.
3405 1—1

ქ. ტფილისის მე-15 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის სტეფანე არტემის ძის სილიკოვის მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ მათ 1241 მუხ. 10 ტ. 1 ნ. სამოქ. კანონ. დაწესებულ ვადაში თავიანთი უფლება ზემოხსენებულ სილიკოვის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე.
3137 1—1

ქ. ტფილისის მე-16 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იბარებს გარდაცვალებულ ილარიონ აკიითის ძე პარტნოვის მემკვიდრეებს, წარმოსადგენათ თავიანთი უფლებებისა ვადაზედ, თანახმად 1241 მუხ. ძ. ლ. 1 ნაწ. 10 ტ. (კრებ. სამოქ. საქ. გამოცემული 1887 წელს. 3404 1—1

ჭიათურის უბნის მომრიგებელი, მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულების ნიკო და არტემ ხვედელიძეების ქონებაზე, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლებები 1241 მუხ. 10 ტ. 1 ნ. კან. კრებ. აღნიშნულ ვადაში. 3400 1—1

ონის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს მცხოვრებისა სოფელ შარდომეთს იოსებ გლახუას ძის კერესელიძის თავიანთი უფლებების წარმოსადგენათ გარდაცვალებულის უძრავ ქონებაზე იმ ვადაშიდ, რომელიც აღნიშნულია 1241 მ. მე-10 ტომისა ნაწ. 1 სამოქალაქო კანონისა.
2868 1—1

ჭიათურის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის ალექსი ქაიხოსროს ვაშაძისას, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება დანაშთენ 1241 მუხ. მე-10 ტ. ნაწ. 1 იმავე წესდებისა აღნიშნულ ვადაში. 3400 1—1

ბათომის ოლქის სასამართლო, თანახმად დადგენილებისა 10 სექტემბრიდან 1920 წელსა 293 3 ჰ. 299 და 301 მ. სამ. სამ. წარ. წეს. ძალით იწვევს ოთხი თვის ვადაში, დღიდან განცხადების დაბეჭვდისა. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გიორგი პეტრეს ძე სუვოროვს, საცხოვრებელი ვისიც არ არის ცნობილი, ძიების გამო ედუარდ თედორეს ძე კობის სუროვოვისადმი 450000 მანეთი ფულების თაობაზე. თუ დანიშნულ დროზე არ გამოცხადდა გამოცხადებული სუვოროვი, ან მისი ვექილი, იმ შემთხვევაში იქნება დადგენილი დაუსწრებელი განჩინება. ძიებითი თხოვნასთან იყო წარმოდგენილი კონოსამენტი ორ მაისისა 1919 წლისა, წერილი ზერვოსისა 31 ივლისიდან 1918 წლიდან ხელწერილი შესახებ მიღებისა 450000 მანეთისა, მოწმობა მთავრობისა 1910 წელსა № 217.
3407 1—1

ბათომის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ონიქ, გეორქ, მირონ და ლევან მარტიროსის ძენის და ნუარდ და აიკანუშ მარტიროსის ასულნის არაბიანების მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ უფლებები გათვალისწინებულნი 1239 მუხ. 10 ტ. 1 ნ. კან. კრებ. გარდაცვალებულნი არაბიანების ქონებაზე. 3408 1—1

იყიდება ცხენები საჯარო ვაჭრობით კვირას 31 ოქტომბერს 12 საათზე (ელისაბედის ქ. 196). ტფ. საშაზრო ერობის ტეხნიკური განყ.-ბა. 3473 1—1

ბათომის უბნის სამოქალაქო განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე, იწვევს გარდაცვალებულის გაიცაკ არაბიანის მეკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ 1239 მ. 10 ტ. 1 ნ კან. კრებ. გათვალისწინებული უფლებები გარდაცვალებულ გაიტაკ არაბიანის ქონებაზე. 3408 1—1